

# გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მეთოდოლოგია ცაგერის მუნიციპალიტეტი

მონიტორინგის მეთოდოლოგია მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ “გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის შემუშავება ახმეტისა და ცაგერის მუნიციპალიტეტების მერიებისთვის” პროექტის ფარგლებში. პროექტის ფინანსური მხარდაჭერია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში“ (USAID GGI)

თებერვალი, 2022

## **დათქმა**

დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ასახავდეს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, პროექტ დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

## სარჩევი

შესავალი.....	3
სამოქმედო გეგმის ამოცანებისა და აქტივობების შესრულების გაზომვა რაოდენობრივად და ხარისხობრივად .....	3
მონიტორინგის წყაროები.....	4
გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიშის ფორმა .....	5

## შესავალი

გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მეთოდოლოგიის ძირითადი მიზანია, შექმნას სახელმძღვანელო პრინციპები, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნება გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და გატარებული პოლიტიკის შეფასება, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნული დოკუმენტებით გათვალისწინებული მიზნების ამოცანების მიღწევას.

მონიტორინგის მეთოდოლოგია დაფუძნებულია ღიაობის, ანგარიშვალდებულების, პასუხისმგებლობისა და ჩართულობის პრინციპებზე. დოკუმენტში წარმოდგენილია მონიტორინგის განხორციელებისათვის საჭირო მიდგომები, თვისებრივი და რაოდენობრივი შეფასების მეთოდოლოგიური ინსტრუმენტები.

## სამოქმედო გეგმის ამოცანებისა და აქტივობების შესრულების გაზომვა რაოდენობრივად და ხარისხობრივად

მონიტორინგის პროცესში გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანებისა და აქტივობების შესრულება გაიზომება მათთვის განსაზღვრული რაოდენობრივი ან/და ხარისხობრივი ინდიკატორების მიხედვით.

ამოცანებისა და აქტივობების შესრულებას მიენიჭება ოთხიდან ერთი სტატუსი:

1. სრულად შესრულებული - აქტივობა/ამოცანა სრულად შესრულდა ან თითქმის სრულად შესრულდა და მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია დასასრულებელი.
2. მეტწილად შესრულებული - აქტივობის/ამოცანის ძირითადი ნაწილი შესრულდა, თუმცა, გარკვეული ნაწილი ისევ შესასრულებელია.
3. ნაწილობრივ შესრულებული - აქტივობის/ამოცანის გარკვეული ნაწილია შესრულებული და ძირითადი ნაწილი არ შესრულებულა.
4. შეუსრულებელი - აქტივობა/ამოცანა საერთოდ არ შესრულებულა ან მისი იმდენად უმნიშვნელო ნაწილი შესრულდა, რომ პროგრესის დაფიქსირება ფაქტიურად შეუძლებელია.

მიზანშეწონილია, მონიტორინგის ანგარიში მომზადდეს წელიწადში ერთხელ, რა დროსაც შეფასდება მიღწეული პროგრესი და არსებული გამოწვევები. სასურველია, მონიტორინგის ანგარიში კომენტარებისთვის მიეწოდოს პროცესში ჩართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს მოსაზრებებისთვის. საბოლოო მონიტორინგის შედეგების დამუშავება შესაძლებელია მოხდეს დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ. მნიშვნელოვანია, მონიტორინგის ჩარჩოს შედეგების განხილვა მოხდეს მერიის თანამშრომლებთან და ფართო საზოგადოებასთან.

სასურველია, სამოქმედო გეგმის შესრულების კოორდინაცია განხორციელოს მერიამ, სადაც პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით გამოიყოფა საკონტაქტო პირი, რომელიც სრულად იქნება ინფორმირებული სამოქმედო გეგმის, მისი შესრულების ეტაპებისა და პასუხისმგებელი რგოლების შესახებ.

## მონიტორინგის წყაროები

მონიტორინგი უნდა დაეყრდნოს შემდეგ ძირითად წყაროებს:

### 1. საჯარო ინფორმაცია

მონიტორინგის განხორციელებისას ინფორმაციის მიღების პირველ წყაროს წარმოადგენს მერია, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მისი სტრუქტურული ერთეულები და მის დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირები. ამიტომ, მნიშვნელოვანია მონიტორინგის ყოველი ეტაპის დასაწყისში ინფორმაცია გამოთხოვილი იქნეს პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულებისა და სსიპ-ებისგან - თითოეული ამოცანისა და აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით. დამატებით, მონიტორინგისას ინფორმაციის მოძიება მოხდება ღია წყაროებიდან, მათ შორის, სახელმწიფო აუდიტის ანგარიშები, ღია მონაცემთა ბაზები და სხვა.

### 2. ჯგუფური ინტერვიუები და სამუშაო შეხვედრები

მონიტორინგის ფარგლებში დამატებითი ინფორმაციის მოძიება და საკითხის გაანალიზება შესაძლებელია ჯგუფური ინტერვიუების ან/და სამუშაო შეხვედრების გზით სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებთან და სსიპ-ებთან მონიტორინგის პროცესში გამოკვეთილი საჭიროების მიხედვით. სამუშაო შეხვედრები და ინტერვიუები შესაძლოა ჩატარდეს ასევე შესაბამისი საკითხის სპეციალისტებთან, აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან და სხვა.

## გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიშის ფორმა

1. შესავალი
2. მეთოდოლოგია
3. ძირითადი მიგნებები
4. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ამოცანების შესრულების მონიტორინგი
5. სამოქმედო გეგმის აქტივობების შესრულების მონიტორინგი
6. დასკვნები და რეკომენდაციები.

ამოცანების შესრულების მონიტორინგის ნაწილის ნიმუში (იგივე ნიმუში უნდა იქნეს გამოყენებული აქტივობების შესრულების შეფასებისთვის):

### შესავალი ნაწილი

მოკლე აღწერა თუ რას გულისხმობს ამოცანა, რამდენი ინდიკატორია გათვალისწინებული მისი შესრულების შესაფასებლად, რომელ ინდიკატორს რამდენი ქულა აქვს მინიჭებული (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მათგან რამდენი მიუთითებს ამოცანის შესრულებაზე, ნაწილობრივ/მეტწილად შესრულებასა თუ შეუსრულებლობაზე. სასურველია, რომ მკითხველს ამ ნაწილის წაკითხვით შეექმნას ზოგადი წარმოდგენა, თუ როგორ შესრულდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული კონკრეტული ამოცანა.

ამოცანის ინდიკატორები:

საბაზისო, შუალედური და სამიზნე მაჩვენებლები:

პასუხისმგებელი სტრ. ერთეული / სსიპ:

ამოცანის შესრულების სტატუსი:

### შეფასება:

ამ ნაწილში ნარატიული სახით უნდა შეფასდეს თუ რას გულისხმობდა კონკრეტული ამოცანა, რა წყაროებიდან იქნა ინფორმაცია მოძიებული, რას სახის ინფორმაცია იქნა მოწოდებული. როგორია შესრულების პროგრესი, როგორია შესრულება თითოეული ინდიკატორის მიხედვით და რატომ ჩაითვალა აღნიშნული ამოცანა სრულად/ნაწილობრივ/მეტწილად შესრულებულად ან შეუსრულებლად. მნიშვნელოვანია, რომ შესრულების შესახებ მოწოდებული ან სხვა წყაროდან მიღებული ინფორმაცია ამოცანის განხორციელების შესახებ მოკლედ იყოს წარმოდგენილი და ძირითადი ნარატივი ეთმობოდეს აღნიშნული ინფორმაციის ანალიზს და დასაბუთებას, თუ როგორ ეხმიანება ეს ინფორმაცია ამოცანის შესრულებასთან დაკავშირებით მონიტორინგის მიერ გაკეთებულ დასკვნებს.